

ინფორმაცია ნებაყოფლობითი დაბრუნების და სარეინტეგრაციო პროგრამების შესახებ

ადგილსამყოფელი/ აკრედიტაციის სახელმწიფოს დასახელება

ავსტრალიის თანამეგობრობა, ახალი ზელანდია და წყნარი ოკეანის ქვეყნები

ნებაყოფლობითი დაბრუნების და სარეინტეგრაციო პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაცია/ უწყება

ავსტრალიის თანამეგობრობაში მოქმედებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), რომელიც ახორციელებს სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნების (AVR) და რეინტეგრაციის პროგრამებს

Assisted Voluntary Return (AVR)

ნებაყოფლობითი დაბრუნების და სარეინტეგრაციო პროგრამების სახელწოდება

პროგრამებით გათვალისწინებული დახმარების ფორმა

სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნების მსურველ პირებს გაეწევათ სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით დახმარება კონსულტაციების, პასპორტის/სამგზავრო დოკუმენტის მიღების და ტრანსპორტირების უზრუნველყოფის ჩათვლით. დახმარების გაწევა ხდება საქმეთა ინდივიდუალურად (case-by-case) განხილვის შედეგად, იმ შემთხვევაში, თუ პირი აკმაყოფილებს AVR-ის პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

პროგრამა, ასევე, ითვალისწინებს რეინტეგრაციის მხრივ დახმარების გაწევას სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მხოლოდ იმ პირებისთვის (იშვიათი გამონაკლისების გარდა), რომლებიც ავსტრალიის ტერიტორიაზე, უვიზოდ, საზღვაო გზით (გემით) არიან შესულები და ასევე არიან თავშესაფრის მაძიებლები ავსტრალიასა და მის საიმიგრაციო ბანაკებში (მანუსის კუნძულზე და ნაურუში)

დახმარების მიმღები სამიზნე ჯგუფები

უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ ავსტრალიაში ე.წ. bridging ან სხვა ტიპის დროებითი ვიზების საფუძველზე, ან/და უარი ეთქვათ ავსტრალიაში ლეგალური სტატუსით, თუნდაც დროებით, დარჩენის შესაძლებლობაზე; პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ, ან ვადა გაუვიდათ ვიზებზე; პირები, რომლებიც ვიზების გარეშე შევიდნენ ავსტრალიის ტერიტორიაზე საზღვაო, ან საჰაერო გზებით

პროგრამის მოქმედების (განხორციელების)
პერიოდი

ნებაყოფლობითი დაბრუნების და
სარეინტეგრაციო პროგრამების
განმახორციელებელი ორგანიზაციის/
უწყების საკონტაქტო ინფორმაცია

International Organization for Migration (IOM) Head Office

4th Floor, Bright Consulting Building/161 London Circuit

Canberra ACT 2608

Ph: +612 6267 6600

Fax: +612 6257 3743

Email: IMOCanberra@iom.int

სიდნეის ოფისი:

Suite 2, Level 11, 49-51 York Street, Sydney NSW 2000

Ph: +612 9248 2160

Fax: +612 9248 2199

მელბურნის ოფისი:

Unit 403 Level 4, 167-169 Queen Street, Melbourne VIC 3000

Ph: +613 9670 4939

Ph: +613 9642 2616

Fax: +613 9602 3799

დამატებითი საკონტაქტო ინფორმაცია: <https://australia.iom.int/contact-us>

დამატებითი ინფორმაცია/ შენიშვნა

ავსტრალიაში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის IOM ოფისი ასევე
პასუხისმგებელია ახალ ზელანდიაში და წყნარი ოკეანის სხვა ქვეყნებში
საქმიანობაზე და ახორციელებს სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნების
პროგრამას (AVR) სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ თავშესაფრის
მამიებელთა და არალეგალ მიგრანტთათვის.